სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N:309/01-01, 12/12/2025 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის და 2026 წლის 22 იანვრის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N:1/2026 დადგენილების მეორე პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი №5

ქ. თბილისი 9 თებერვალი, 2026 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორი სიმონ გელაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი (კომისიის მდივანი), ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი (კომისიის წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის N:309/01-01, 12/12/2025 ბრძანებით** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის (**საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია ,,ბ“, **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია ,,ბ“) შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ს. გელაშვილი

მოისმინეს: 1.1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, **პროფესორ სიმონ გელაშვილის** ინფორმაცია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის N:309/01-01, 12/12/2025** ბრძანებით ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის (**საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია ,,ბ“, **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია ,,ბ“) შედეგების შეჯამება.

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული კატეგორია ,,ბ“, 1 ვაკანსიაზე განცხადება წარმოდგენილი ჰქონდა ერთ კანდიდატს, ლევან კერესელიძეს; **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია ,,ბ“, ერთ ვაკანსიაზე განცხადება წარმოდგენილი ჰქონდა ორ კანდიდატს: ოთარ აბესაძეს და გოგიტა თოდრაძეს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორი სიმონ გელაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი (კომისიის მდივანი), ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი (კომისიის წევრი).

კომისიამ იმსჯელა და შეაჯამა კონკურსანტების შეფასებები.

1. კომისიამ განიხილა **საერთაშორისო ეკონომიკისა და მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე** ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **ლევან კერესელიძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა (დანართი #4).

კონკურსანტ ლევან კერესელიძის საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კონკურსანტ ლევან კერესელიძის მიერ საკონკურსო კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომში: „საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს საინვესტიციო ურთიერთობების არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები", ჩამოყალიბებულია კვლევის აქტუალობა, შედეგები და დასკვნა.

კონკურსანტ ლევან კერესელიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შინაარსით და ფორმით ნაწილობრივ შეესაბამება სამეცნიერო კვლევის კონცეფციას.

კონკურსანტმა ლევან კერესელიძემ საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით მიიღო ,,საშუალო".

III კატეგორიის მიხედვით - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ-ს ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - კომისიამ მიანიჭა შეფასება „საშუალო".

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).*

კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას - მიანიჭა შეფასება „საშუალო".

2. კომისიამ განიხილა **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე** ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **ოთარ აბესაძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა (დანართი #4).

კონკურსანტ ოთარ აბესაძის საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა საერთო შეფასება მიიღო ,,მაღალი".

კონკურსანტ ოთარ აბესაძის მიერ საკონკურსო კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილ ნაშრომში: „სისხლის სამართლის დამნაშავეთა სტატისტიკური მახასიათებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე", ჩამოყალიბებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაფუძნებული სტატისტიკური ანალიზი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

კონკურსანტ ოთარ აბესაძის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში ჩამოყალიბებულია საკვლევი პრობლემების აქტუალობა, კვლევის მიზანი, ჩატარებულია სტატისტიკური ანალიზი და წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები.

III კატეგორიის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ-ს ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - კომისიამ მიანიჭა შეფასება „მაღალი".

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).* კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ-ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას - მიანიჭა შეფასება „საშუალო".

3. კომისიამ განიხილა **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის** კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **გოგიტა თოდრაძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა (დანართი #4).

კონკურსანტ გოგიტა თოდრაძის საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით არის ,,მაღალი".

კონკურსანტ გოგიტა თოდრაძის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომში: „საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერა: დემოგრაფიული ტრენდი და მეთოდოლოგიური ინოვაციები" (Georgia's 2024 Population Census: Demographic Trends and Methodological Innovations), ჩამოყალიბებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის დეტალური მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი, შედეგები და ანალიზი, მონაცემთა მეთოდოლოგიური შეფასება, ტექნოლოგიური მიღწევები და ინოვაციები, ცვლილებები და სტრატეგიული გადაწყვეტილებები, სამომავლო მიმართულებები და სტრატეგიული განვითარება, დასკვნები.

კონკურსანტ გოგიტა თოდრაძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში ჩამოყალიბებულია საკვლევი პრობლემების აქტუალობა, სამეცნიერო კვლევის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები.

III კატეგორიის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მუხლისთვის, ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას კომისიამ მიანიჭა შეფასება „საშუალო", ხოლო ხელს შეუწყობს თსუ-ს ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას, კომისიამ მიანიჭა შეფასება „მაღალი".

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ-ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).*

კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ-ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას - მიანიჭა შეფასება „მაღალი".

კონკურსის **მეორე ეტაპზე** თითოეულ პრეტენდენტებთან ჩატარდა გასაუბრება:

1. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ოთარ აბესაძემ** დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები, მათი აქტუალურობა და საფუძვლიანად უპასუხა დასმულ შეკითხვებს.
2. პრეტენდენტი **გოგიტა თოდრაძე** გასაუბრებაზე არ გამოცხადდა.
3. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ლევან კერესელიძემ** დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებები, ყურადღება გაამახვილა თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის მნიშვნელობაზე და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების შესაბამისად (დანართი 1, მე-7 მუხლი, მე-2 პუნქტი) პრეტენდენტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა, ასევე, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ აქტივობაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს პრეტენდენტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს. აღნიშნულის საფუძველზე პრეტენდენტი **გოგიტა თოდრაძე** მოიხსნა კონკურსიდან.

გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიამ ჩაატარა კენჭისყრის პროცედურა:

კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად, საკონკურსო კომისიის მიერ დამზადდა ბიულეტენები, რომლებშიც აისახა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო აკადემიური პოზიციის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტ(ებ)ის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი დაილუქა და დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერით. კომისიის წევრებმა თავისი არჩევანი დააფიქსირეს ბიულეტენ(ებ)ზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

საკონკურსო კომისიამ უზრუნველყო ხმის ფარულად მიცემისთვის აუცილებელი პირობები. საარჩევნო ყუთი შემოწმდა კომისიის წევრების მიერ კენჭისყრის დაწყებამდე და დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. საარჩევნო ყუთი განთავსდა კომისიის სხდომის ოთახში თვალსაჩინო

ადგილას. კენჭისყრის დასრულების შემდგომ კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი და დათვალა თითოეული პრეტენდენტის მიერ მიღებული ხმები.

ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

- **საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა**
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ"
  ლევან კერესელიძე
- **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა**
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ"
  ოთარ აბესაძე

კონკურსის შედეგების შეჯამება:

1. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **ლევან კერესელიძის** განათლება და აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან.
   კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: პრეტენდენტ ლევან კერესელიძის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა ვაკანსიის პროფილის შესაბამისად, ხელს უწყობს სტუდენტებს გაეცნონ დარგში არსებულ თანამედროვე ლიტერატურას, რაც შემდგომში მათ დაეხმარება უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმატებით გამოიყენონ პრაქტიკაში. ლევან კერესელიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, მისი პუბლიკაციები არის გარკვეული კონტრიბუცია თსუ-ს სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში.
2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **ოთარ აბესაძის** განათლება და აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის საკმარისი გამოცდილება.
   კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: პრეტენდენტ ოთარ აბესაძის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ხელს უწყობს სტუდენტებს თანამედროვე მიღწევების გაცნობაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში. მისი პუბლიკაციები, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა არის კონტრიბუცია თსუ-ს სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში.

დაადგინეს: 1.1. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ") შესაბამისად და ერთხმად დაადგინა, რომ სამუშაოები განხორციელდა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად;

1.2. თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ") შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;

1.3. თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების (,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ") შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება აქვს გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. პრეტენდენტმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა #2 (თსუ მე-10 კორპუსი), ოთახი #310.

კომისიის თავმჯდომარე		/პროფესორი ს. გელაშვილი/
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე		/ასოც. პროფესორი რ. ფუტკარაძე/
კომისიის წევრები:		/ასოც. პროფესორი თ.ზუბიაშვილი/
კომისიის მდივანი		/ასოც. პროფესორი ნ. მიქიაშვილი/